საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/45

05 სექტემბერი 2012 წ ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც გაიარეს 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები“ რსუ – ს რექტორის 2012 წლის 29 აგვისტოს №01–08/40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე–13 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც გაიარეს 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 29 აგვისტოს №01–08/40 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება. კერძოდ, პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 29 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე“.

2. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. ბრძანება ძალაშია 2012 წლის 4 სექტემბრიდან;

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**